ხელშეკრულება №08/12/34
სახელმწიფო შესყიდვის სესახებ

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ **„თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"** (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ლაშა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ **„გიორგი ღამბაშიძის"** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") (მცხოვრები ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №20 კორ. 2 ბინა 5, პ/მ № დ 1430191, პირადი №10001005499 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სამსახურის მიერ 29.03.2011 წელს. „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, შევთანხმდით და დავდეთ ხელშეკრულება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:** ***(CPV70200000)***

1.1 მესაკუთრე – მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადასცეს შემსყიდველს 1.2. პუნქტში მითითებული ქონება დროებით სარგებლობაში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ქირა და დაქირავების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს ქირავნობით აღებული ქონება.

1.2 მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს დროებით სარგებლობაში ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №20-ში მდებარე ავტო ფარეხს.

2. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

2.1. მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

2.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. **უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ფართის შესახებ**

3.1 მიმწოდებელმა დაადასტურა, რომ გაქირავებული ავტო ფარეხი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა და არ არსებობს ისეთი გარემოება, რაც შემსყიდველს ხელს შეუშლის მის გამოყენებაში.

3.2 შემსყიდველმა დაადასტურა, რომ ა/ფარეხი ვარგისია იმ სამუშაოს განსახორციელებლად, რომელიც მათ ესაჭიროებათ.

4. **გადახდის პირობები:**

4.1. შემსყირველი ვალდებულია მიმწოდებლს ყოველთვიურად გადაუხადოს ქირა.

4.2. ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 162.50 (ასსამოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ხოლო ხელზე ასაღები თანხაა 130.00 (ასოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ყოველთვიური ქირა გადაუხადოს მიმწოდებელს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

4.4. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ანგარისწორება განხორციელდება უნაღდი ანგარიშსწორებით, ლარებში.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ა/ფარეხი.

  მიმწოდებელი უფლებამოსილია:
- შეამოწმოს ა/ფარეხის მდგომარეობა;
- მოითხოვოს ფართის გამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- დაარღვიოს ხელშეკრულება თუ შემსყიდველი დროულად არ იხდის ქირის გადასახადს.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ისარგებლოს ა/ფარეხით დანიშნულებისამებრ;
- გაუფრთხილდეს ა/ფარეხს და უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა;
- დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;
- არ განახორციელოს ფართის რეკონსტრუქცია მიმწოდებელთან შეთანხმების გარეშე;
- ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ დაუბრუნოს მიმწოდებელს აღებული ფართი გამართულ მდგომარეობაში;

6. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

6.1. მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა თუ:

- შემსყიდველი საიჯარო ფართს არ იყენებს დანიშნულებისამებრ;
- განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს ა/ფარეხის მდგომარეობას, ან ქმნის მისი მდგომარეობის გაუარესების რეალურ საფრთხეს;
- დროულად არ იხდის ქირის გადასახადს;

6.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია 1 თვით ადრე აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

7. მხარეთა პასუხსმგებლობა

7.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის თუ არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

8.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების ნაწილი იქნება.

9. დავათა გადაჭრის წესი

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებელი ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულება შედგენილია ორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. ერთი ინახება გამქირავებელთან, მეორე დამქირავებელთან

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

მისამართი: ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის გამზ.№140ა
ს/კ: 402008046
სახელმწიფო ხაზინა – ხაზინის ერთ. ანგარიში"
TRESGE22

ლაშა სამხარაძე _____

„მიმწოდებელი"

ფ/პ „გიორგი ღამბაშიძე"

მისამართი: ქ. თბილისი,
ჭყონდიდელის ქ. №20 კორ. 2 ბ.5
პ/მ № დ 1430191

პირადი ნომერი № 10001005499
ანგ.№ GE72LB0711169964543001

გიორგი ღამბაშიძე _____

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

30 [illegible] 2016წ.

ჩვენ ქვევით ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"-სათვის ავტოფარეხის იჯარის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მიმწოდებელი: [illegible]

ლაშა სამხარაძე .....

თამაზ თურმანიძე .....

თეა ბორაშვილი .....

მიხეილ გიგაური .....